პრეზიდენტს მთავრობა ნოღაიდელმა შეაცვლევინა?

გაზეთი “ახალი თაობა” – 1 ნოემბერი, № 302, 2008

ინტერვიუ ეკონომიკურ ექსპერტ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, როგორ შეაფასებდით სამთავრობო ცვლილებებს. თქვენი აზრით, რამ განაპირობა პრემიერ ლადო გურგენიძის თანამდებობიდან მოხსნა?

– იუმორით ვიტყვი, რომ პირველ რიგში უნდა მივულოცოთ პირველი სერიოზული პოლიტიკური გამარჯვება ზურაბ ნოღაიდელს, რომელიც ჯერ-ჯერობით პოლიტიკაში მიმავალ გზაზეა მხოლოდ. ჯერ ის არც კი მოსულა პოლიტიკაში, ჯერ პარტიაც კი არ შეუქმნია, მაგრამ მისმა მუქარამ უკვე შედეგი გამოიღო! ნოღაიდელი იძახდა, რომ საქართველოს მთავრობა არის არაკომპეტენტური, რადგანაც მთავრობაში თითქმის არც არავინ შეცვლილა მისი წასვლის შემდეგ, ერთად-ერთ არაკომპეტენტურ პიროვნებად ის პრემიერ-მინისტრ გურგენიძეს თვლიდა. აქედან გამომდინარე ნოღაიდელს უნდა მივულოცოთ პირველი გამარჯვება: წარმოიდგინეთ, ის პოლიტიკაში ჯერ არც კი მოსულა და უკვე პრემიერ-მინისტრი მოხსნა, ხოლო როცა მოვა, მერე რას იზამს?! ახლა რაც შეეხება თვითონ ამ სამთავრობო ცვლილებებს, პრაქტიკულად არც არანაირი ცვლილება არ მომხდარა. საზოგადოებაში განსაკუთრებით დაფასებული იყო კულტურის მინისტრი ვაჩეიშვილი. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი ინფორმაცია მაქვს. რაც შეეხება სხვა შეცვლილ მინისტრებს, ის, რომ ზურაბ ადეიშვილი დაუბრუნდებოდა პროკურატურით გაძლიერებულ იუსტიციის სამინისტროს, ამაზე არამარტო ჭორები დადიოდა, არამედ ეს ისედაც აშკარა იყო. ბატონი კობა სუბელიანი მაშინაც კი, როცა პარლამენტში იყო, ის მაინც მინისტრის ფუნქციას ასრულებდა იმიტომ, რომ ქალბატონი მარტიაშვილი ბევრმა არც კი იცოდა, ვინ იყო და არც ის იცოდა,

თუკი ასეთი მინისტრი საერთოდ ჰყავდა საქართველოს. რაც შეეხება გარემოს დაცვის სფეროს, იქნება ეს მთავრობაში სპეციალური სამინისტრო, თუ პარლამენტში კომიტეტი, მე მგონი, ეს ორგანოები უფრო ზრდილობის გულისთვის გვაქვს. ამის თქმის საფუძველს ის საკადრო დანიშვნები მაძლევს, რაც ხდება როგორც პარლამენტის შესაბამის კომიტეტში, ისე შესაბამის სამინისტროში. როგორც ჩანს ხელისუფლება არ თვლის, რომ ეს არის რაღაც სერიოზული სამინისტრო და ამ სფეროს უნდა ჰყავდეს კვალიფიციური ხელმძღვანელი.

ახალ პრემიერ გეგა მგალობლიშვიოლს ძალიან ბევრი აქებს. ამბობენ, რომ ის კარგი კაცია, მაგრამ დამეთანხმებით, რომ მარტო კარგი კაცობა არ არის ის საკმარისი პირობა, რომ მთავრობის ქმედითი ხელმძღვანელი გახდეს. რამდენი "ოქრო" და "ჩასაყლაპი" კაცი დაიარება ქვეყანაზე, ყველას ხომ ვერ ანდობ ქვეყნის მართვას. მინდა მგალობლიშვილს წარმატებები ვისურვო, მაგრამ ის, რომ მან პრაქტიკულად მთავრობა ვერ შეცვალა თუ არ შეცვალა, ამას თავისი ახსნა აქვს.

– ახსნაში რას გულისხმობთ, ის თავისუფალი არ იყო მთავრობის დაკომპლექტებაში?

– ჯერ ერთი ვინ შეაცვლევინებდა, რომც სდომებოდა. მეორეც სურვილის შეთხვევაში, ვისით შეცვლიდა? თუ დავივიწყებთ, რომ ეს ახალგაზრდა კაცი, რომელიც, როგორც ამბობენ ყოჩაღია, კარგა ხანია საქართველოში არ არის და ვის მოიყვანდა ის სხვადასხვა დარგის მინისტრებად? მას ხომ რეალურად ობიექტური ინფორმაცია არ გააჩნია? მე თუ მკითხვათ სწორიც არის, რომ არ აჩქარდა. ეს შეიძლება მგალობლიშვილს სიბრძნედაც ჩაეთვალოს, რომ თავისი საძმაკაცოთი არ დაიწყო დანიშვნები. ის გადაწყეტილებებს ალბათ შემდგომში მიიღებს. ვნახოთ, მით უფრო, რომ არსებობს აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი საპარლამენტო კომისია. მართალია, საზოგადოებაში ამ კომისიას დიდი ნდობა არ აქვს, მაგრამ თვითონ კომისიის თავმჯდომარე და წევრები კი იმუქრებიან ამას ვიზამთ და იმასო. ვნახოთ, შეიძლება მათ მთავრობის ზოგიეთი წევრის პასუხისმგებლობის

საკითხიც დააყენონ. ამ კუთხითაც აბსოლუტურად სწორია ის, რომ ახალმა პრემიერმა მინისტრთა უმრავლესობა არ შეცვლა.

– ფიქრობთ, რომ მიხეილ სააკაშვილმა სწორედ ამ საპარლამენტო კომისიის ხელით შეიძლება განახორციელოს მთავრობის რიგებში წმენდა?

– ეს სააკაშვილისთვის მეასეხარისხოვანი იქნება. სააკაშვილისთვის პრობლემას არ წარმოადგენს ერთი ორი მინისტრის გამოკლებით მინისტრების სხვადასხვა უწყებაში გადაადგილება. ახალი კულტურის მინისტრი გვყავს, რა შეიძლება გვქონდეს მასთან საწინააღმდეგო? თითქოს არაფერი. უბრალოდ მაშინვე შეგექმნება ასეთი განცდა, ხომ არ აქვს ადგილი ინტერესთა კონფლიქტს? ერთ-ერთი მსხვილი კულტურული დაწესებულების ხელმძღვანელი მისი მეუღლეა, თვითონ კი მინისტრი. ფაქტია, რომ სააკაშვილისთვის ვინმეს მოხსნა პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა ამ კომისიამაც ხომ უნდა დაანახოს ხალხს, რომ რაღაცას აკეთებს.

– საზოგადოება ძალოვანებში ცვლილებას ელოდა, განსაკუთრებით კი მოლოდინი იყო თავდაცვის მინისტრ კეზერაშვილის შეცვლისა.

– ძალოვანების ცვლილება არის პრეზიდენტის პრეროგატივა. ფორმალურად ისინი მთავრობის წევრები არიან, თუმცა მათი დანიშვნა თუ მოხსნა უშუალოდ პრემიერის გადასაწყვეტი არ არის. ამიტომ, ახალი პრემიერ-მინისტრის მოყვანა არ ნიშნავს, რომ მას აქვს უფლება ძალოვანი მინისტრები შეცვალოს. თუ პრეზიდენტი თვლის, რომ მისმა ძალოვანებმა კარგად გაართვეს თავი თავის ფუნქციას, რატომ შეცვლიდა?

– და მაინც, რამ განაპირობა პრემიერ გურგენიძის მოხსნა, ცუდი პრემიერი იყო? რატომ არ მოსწონდა სააკაშვილს?

– ვერ გეტყვით მოსწონდა თუ არა პრეზიდენტს ლადო გურგენიძე. მოდით ვთქვათ გურგენიძემ რითი დაამახსოვრა საზოგადოებას თავი თავისი ერთწლიანი პრემიერ მინისტრობის განმავლობაში და აქედან გავაკეთოთ დასკვნები. პირველი, რითიც მან თავი დაამახსოვრა, ეს არის 150 დღეზე გაწერილი 50 დღიანი გეგმა, რომელსაც ისე დაარქვა 50 დღიანი, რომ არც კი დაფიქრებულა ამ სათაურის უაზრობაზე. მეორე, თავი დაამახსოვრა 50 თვიანი გეგმით, რომელიც თვალით არავის უნახავს. მესამე, თავი იმით დაამახსოვრა,

რომ ეროვნული ბანკის, როგორც ინსტიტუტის დაშლას შეუწყო ხელი. პრქატიკულად, ის, რომ ეროვნული ბანკი დაკნინდა, ეს უშუალოდ ბატონ გურგენიძის ცოდვაა ქართულ პოლიტიაში. გურგენიძემ თავი იმითაც დაგვამახსოვრა, რომ ნახევარ მილიარდიანი ვალი აკიდა ქვეყანას აპრილში ევროობლიგაციების ემისიით. დღეს, როცა ახალი მთავრობა მტკიცდება და არავის კითხვა არ აქვს, სად არის ეს ნახევარი მილიარდი დოლარი, უკვე დაიხარჯა, ახლა უნდა დავხარჯოთ ომის შედეგების ლიკვიდაციისას, თუ სადღაც გვაქვს გადამალული? თუ ეს 500 მილიონი დოლარი ახლა იხარჯება ომის შედეგების ლიკვიდაციისათვის მე მივესალმები. კიდევ იცით, რითი დაამახსოვრა გურგენიძემ ხალხს თავი? იმით, რომ დაგვპირდა "ბროლის კოშკებს", რომ საქართველო გახდებოდა გლობალური ფინანსური ცენტრი. გურგენიძის სასარგებლოდ კი ის მეტყველებს, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აბსოლუტურად სწორი იყო, როდესაც 11 აგვისტოს ღამით იქნა გამოცხადებული, რომ 12 აგვისტოს დაიხურებოდა ბანკები და გამოცხადდებოდა დასვენების დღეები საბანკო სისტემაში. შემდგომ იყო შეზღუდვა საბანკო ოპერაციებზე, რაც ასევე სწორი ნაბიჯი იყო.

საერთო კანონზომიერება კი არც თუ ისეთი სანუგეშო გვაქვს: ვარდების რევოლუციის შემდეგ ყოველი ახალი დანიშვნა პრემიერის პოსტზე, ეს არის წინაზე უფრო უარესი. სამწუხაროდ, ასეთია ტენდენცია.

– ანუ, ბატონო ლადო, ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, მგალობლიშვილი გურგენიძეზე უარესი პრემიერი იქნება?

– ვიმეორებ, როგორც ამბობენ მგალობლიშვილი კარგი ახალგაზრდაა. მაგრამ გავაანალიზოთ თუ როდის ხდება ის პრემიერი. დღეს გლობალური ფინანსური კრიზისია მსოფლიოში. საქართველოში არის საკმაოდ მძიმე ომის შემდგომი მდგომარეობა. აქ ერთმანეთზეა გადახლართული მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომებიც, რაზეც არაერთხელ გვისაუბრია. კარგია, რომ ადამიანს გამოცდილება აქვს იგივე თურქეთში დიპლომატიური საქმიანობის, მაგრამ ხომ არის საკითხები, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ამ კრიზისს. ასეთ რთულ ვითარებაში ალბათ უფრო კომპეტენტური პიროვნების დანიშვნა იქნებოდა მისაღები.

– კომპეტენტურობაში რას გულისხმობბთ, უკეთესი იქნებოდა ფინანსისტი ან ეკონომისტი დაენიშნათ?

– ჩაციკლული არა ვარ, რომ მაინცა და მაინც პრემიერი ეკონომისტი იყოს, მაგრამ ელემენტარულად კადრებში ხომ მაინც უნდა ერკვეოდეს? მთავრობის სხდომას რომ ჩაატარებს მგალობლიშვილი, როგორ უნდა შეაფასოს ის, რასაც წარმოუდგენენ სხვადასხვა სამინისტროები. ეყოფა კი მას იმის ცოდნა, რომ მიხვდეს რას სთავაზობენ? თუ რასაც მას დაუწერენ ის უნდა ილაპარაკოს?

– რაზე მიანიშნებთ, თავიდანვე ჩანს, რომ მგალობლიშვილი მართვადი პრემიერი იქნება?

– მე ამის მეშინია. არ მინდა ასე იყოს. ის, რომ მას შესაბამისი ცოდნა მას, უბრალოდ, ვერ ექნება იმიტომ, რომ სხვა განათლება აქვს მიღებული, იძულებული იქნება, რასაც დაუწერენ ის ილაპარაკოს. ყოველ შემთხვევაში, მისი პირველი გამოსვლები ამის თვალსაჩინო ნიმუშია. პრაქტიკულად, ახალი პრემიერი "ქვევრის" პრინციპით მოქმედებს, რასაც იძახის, ის არაფრით განსხვავდება იმისაგან, რასაც მთელი უმრავლესობა იძახის. ჩემი დამოკიდებულება გურგენიძისადმი თითქმის ყოველთვის კრიტიკული იყო, მაგრამ მას თავისი ხედვა ჰქონდა, და თანაც ის ხშირად თვითონ იყო იმის ინიციატორი, თუ რა ფრაზეოლოგიით უნდა ემეტყველა საპარლამენტო უმრავლესობას და არა პირიქით... ახლ პრემიერს კი ჯერ-ჯერობით საკუთარი ფრაზეოლოგიაც კი არ აქვს.

ერთ საინტერესო მომენტს მინდა მივაქციოთ ყურადღება. ძალზედ მნიშვნელოვანია ბატონი კახა ბენდუქიძის ბედი. ბენდუქიძის დარჩენა სახელმწიფო სამსახურში არის დღეს ინდიკატორი იმისა, თუ რამდენად მართვადი თუ არამართვადი პრემიერ-მინისტრი გვეყოლობა. დღეს მთავარია რას იზამს მგალობლიშვილი ბენდუქიძესთან მიმართებაში. ალბათობა იმისა, რომ ბენდუქიძე თავის თანამდებობაზე დარჩება, მაღალია. თუ ბენდუქიძე დარჩება, ეს იმას ნიშნავს, რომ გაგრძელდება ის, რაც აქამდე იყო. ერთმა ჩემმა მეგობარმა ენამოსწრებულად თქვა: ქვეყანაში **"ბასტი-ბენდუ"** გრძელდებაო. "ბასტი-ბენდუ" მართლაც გაგრძელდება, თუ მგალობლიშვილს

არ ეყო პრინციპულობა და ბედუქიძე არ მოიშორა. და თუ მოიშორებს ბენდუქიძეს, მაშინ ეყოფა კი ის ცოდნა, რომ შეფასოს მთავრობის წევრთა მიერ მომზადებული საკითხები? აი, ასეთი დილემის წინაშე ვდგავართ. ამიტომ ძალიან გამიჭირდება ვთქვა, რამდენად დამოუკიდებელი იქნება ახალი პრემიერი.

– გამოდის, ქვეყნის ეკონომიკრი პოლიტიკა ისევ ბენდუქიძის მართვის ქვეშ იქნება.

– რა თქმა უნდა. არის ასეთი სცენარიც. ბენდუქიძის გაშვება-არგაშვება შესაძლოა ბევრს არაფერს ნიშნავდეს კიდეც, რადგანაც მან უკვე შექმნა უხილავი ქსელი მთავრობაში და ყველა ეკონომიკურ სამსახურში ჰყავს თავისი ხალხი ჩანერგილი. დარჩება თუ არა ბენდუქიძე თანამდებობაზე, მისი ხალხი იგივე კურსს გააგრძელებს, რადგანაც გასათვალისწინებელია, რომ ის საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი კაცია, მას ყოველთვის ექნება ის ძალაუფლება, რომ "უხილავი ძაფებით" მარიონეტებივით მართოს თავისი წარმომამდგენლები სხვადახვა უწყებებში. ასე, რომ ბატონი კახას ფენომენი ძალზედ რთულია.

აქ ერთი კურიოზული სიტუაციაც არის, ბატონი მგალობლიშვილი, როდესაც პრეზიდენტმა მოიწვია პრემიერად, თქვა, რომ ეს ძალიან ნიჭიერი კაცია, რომ გამოცდილება აქვს ინვესტიციების მოზიდვაში და ა.შ. იმავდროულად, ბატონი გურგენიძე დასახელდა ახალი საინვესტიციო-საფინანსო კომისიის მომავალ თავმჯდომარედ. გამოვიდა ფუნქციების დუბლირება და საშაყირო სიტუაცია. თუ ჩვენ მთავრობა გვყავს და თანაც ახალი პრემიერ-მინისტრი იმიტომ მოვიდა, რომ ინვესტიციები მოიზიდოს, ძველმა პრემიერმა რაღა უნდა გააკეთოს საინვესტიცო-საფინანსო კომისიაში – გაანაწილოს? ეს რაღაც გაუგებრობაა. მგალობლიშვილმა ტელევიზიით თქვა, რომ ის და გურგენიძე თანათავმჯდომარეები იქნებიან. ეს სულ ცოტა ღიმილისმომგრელია. პრემიერ-მინისტრი თანათავმჯდომარე ვისთან, ყოფილ პრემიერ-მინისტრთან? თუ ეს კომისია იქნება სათათბირო ორგანო, სადაც უნდა შევიდნენ ეკონომიკური ბლოკის სამინისტროების ხელმძღვანელები, პარლამენტის ეკონომიკური ბლოკის კომიტეტების თავმჯდომარეები და

ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა, ამის კოორდინაცია არის პრემიერის პრეროგატივა. მიხეილ მაჭავარიანმა კი, რომელსაც მე პიროვნულად დიდ პატივს ვცემ, სულ სხვა კომენტარი გააკეთა. მისი თქმით, ეს საფინანსო-საინვესტიციო კომისია იქნება სათათბირო ორგანო, სადაც ექსპერტები შევლენო. ეს კი აშკარა ნონსენსია. სათათბირო ორგანო ისეთ კაცთან უნდა შეიქმნას, რომელსაც გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს. თუ ასეთი უფლების არმქონე პირთან შეიქმნა, მაშინ ეს იქნება მხოლოდ სალაყბო ორგანო. სათათბირო ორგანო შეიძლება ჰქონდეს პრეზიდენტს, პრემიერს, მინისტრს და ა.შ. გურგენიძეს პრემიერობის დროს არ გაუკეთებია ექსპერტებით დაკომპლექტებული სათათბირო ორგანო და ეხლა რაღა დროსია, როცა ის გადაწყვეტილების მიმღები აღარ იქნება? ხოლო თუ საინვესტიციო-საფინანსო საბჭოს შესაძლო ხელმძღვანელ ლადო გურგენიძეს მიეცა გადაწყვეტილების მიღების უფლება, მაშინ გამოდის, პრემიერ მინისტრად ისევ ლადო გურგენიძე რჩება და მგალობლიშვილი საერთოდ რა შუაშია? ფაქტია, გურგენიძე ჯერ დუმს და არანაირ კომენტარს არ აკეთებს. ჩავთვლიდი ბევრად უფრო გამართლებულად მისი მხრიდან, თუ ის ამ კომისიის ხელმძღვანელის პოსტზე უარს იტყოდა. თავმოყვარე და ქვეყნის ბედზე მზრუნველი კაცი ამას არ უნდა დათანხმდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ორი პრემიერ-მინისტრი ხომ არ ეყოლება ქვეყანას? თუ ლადო გურგენიძე უარს იტყვის და ასეთ საბჭოს არ შექმნის, მე (და სავარაუდოდ არა მარტო მე) დადებითად შევაფასებ მის ამ ნაბიჯს. თუ დათანხმდა და რაღაც ფუნქციები მიეცა, მას ასეთი ახსნა ექნება – ახლა 4,5 მლრდ უნდა შემოვიდეს და არ უნდა მასზე კონტროლი დაკარგოს. ხოლო თუ ეს უბრალოდ სათათბირო ორგანო იქნება, მოცლილი ნეტა ვინ არის მივიდეს ისეთ კაცთან, ვისაც გადაწყვეტილების მიღების უფლება არ აქნება...

– თქვენ, ზემოთ ახსენეთ, რომ ზურაბ ნოღაიდელმა გაიმარჯვა. ისევ აქვს მას ამ მთავრობაზე გავლენა?

– მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ნოღაიდელს უშუალო ზეგავლენა არ აქვს ამ მთავრობაზე. პირიქით. დღეს ის ყველას აღიზიანებს ხელისუფლებაში, იმიტომ, რომ ის დიდ ინფორმაციას ფლობს.

– ფიქრობთ, რომ ნოღაიდელის ოპოზიციაში გადასვლა ბევრს სერიოზულად აღიზიანებს?

– რა თქმა უნდა. მაგრამ ფაქტია, რაც ნოღაიდელმა ამ ბოლო პერიოდში რაც მოითხოვა სწორედ ის გაკეთდა. თანაც ხელისუფლებამ ნოღაიდელს მთავრობის საკრიტიკო მასალა გამოაცალა, რადგანაც ვინც ნოღაილელს აღიზიანებდა, ის მთავრობაში უკვე აღარ არის. საინტერესოა, აწი ნოღაიდელი ვის კრიტიკეაზე გადავა?

– ამ ცვლილებების ფონზე, პრეზიდენტი როგორ წარმოჩინდა?

– ისევე, როგორც აქამდე იყო წარმოჩენილი. ახალი არაფერია!

შორენა კოწოწაშვილი